საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი 19 თებერვალი 1921 წ.

# ერთობა

ფასი 50 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 1200 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 50 მანეთი, განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 30 მანეთი, მეოთხე გვერდზე 20 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 1000 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ქრონიკის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 38 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 38

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გენერალური შტაბის ცნობა

თფილისი, თებერვლის 18.

17 თებერვლის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა თფილისის დაცვის შესახებ ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის შემოტევა შეჩერებულია.

ლაგოდეხში და შირაქის ველზე ბრძოლა სწარმოებს.

## გამარჯვების წინამორბედი.

დღეს ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ, რაც უნდა მოხდეს და რა ხასიათიც უნდა მიიღოს ჩვენმა ომმა შემოსეულ ურდოებთან, ჩვენი საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია!

მოხდა ის, რაც გამარჯვების მომასწავებელია, მისი წინამორბედია. ხალხმა აშკარად იგრძნო საბედისწერო მომენტი და, როგორც ერთი კაცი, გამოვიდა რესპუბლიკის დასაცავად.

თავის მხრივ დედა-ქალაქმა თფილისმა საომარი სახე მიიღო. ამ უკანასკნელ დღეებში ის გადაიქცა საქართველოს ნამდვილ გულად და მთელი თავისი ძალები აამოძრავა, მოქმედებაში მოიყვანა, დარაზმა და ფრონტს ღირსეულად ზურგი გაუმაგრა.

პროვინციამ ჩვეულებრივი მხნეობით და მდგომარეობის შეგნებით შეასრულა და ასრულებს თავის დანიშნულებას. ყოველ საათობით ახალ ახალი ძალები ემატება ჩვენს გმირ მეომრებს და დგება უდიდესი ფრონტი.

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ბრძოლა არ არის ადგილობრივი, თუნდაც ამიერ-კავკასიის მნიშვნელობის.

მის შედეგებს ეძლევა მსოფლიო ხასიათი. თფილისის მიდამოებში უნდა გადაწყდეს „კომუნისტების" ბედი მთელს აზიაში.

ამ ახლად მოვლინებულმა იმპერიალისტებმა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში უნდა ჰპოვონ თავიანთი მესაფლავე და ეს მესაფლავე იქნება საქართველოს დემოკრატია.

დღეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დამტკიცდა, რომ ქართველ ხალხში „კომუნისტებს" არავითარი გავლენა არ ჰქონიათ. მთელს რესპუბლიკაში მათ არ აჰყვა არც ერთი მოქალაქე ეს უდიდესი და ისტორიული გამარჯვებაა საქართველოს ცოცხალი, მომქმედი და დარაზმული დემოკრატიისა ალვირ წახსნილ ანარქიაზედ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტების აზიური პოლიტიკა თავის სამარეს ნახავს თფილისის კედლებთან, როგორც ვარშავის მიდამოებში დაიმარხა მათი ევროპიული პოლიტიკა.

დემოკრატიის შეურყეველი მუშაობა, მუდმივი სიფხიზლე, გაჭირვების დროს სრული სიმშვიდე—აი რა არის საჭირო დღეს და გამარჯვება უზრუნველყოფილია!

## ხმები

თფილისი სავსეა ათასგვარი ხმებით.

ხმები ორგვარია: ერთი—წმინდა პროვოკაციული, რომელსაც ავრცელებენ ჩვენი მალული თუ აშკარა მტრები. მეორე წმინდა „ობივატელური", შედეგი სიმხდალისა და სილაჩრისა. პირველი კატეგორიის ხმები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთავად პოლიტიკურ-სტრატეგიულია. მისი აშკარა მიზანია ჩვენი ხალხის სულიერი სიმშვიდის დარღვევა, შექმნა პანიკური ატმოსფერის და ასე ზურგიდან ხელის შეწყობა ქურდულად მოპარული მტრის გასამარჯვებლად.

ასეთი ხმები მრავალნაირია, მათი შინაარსი კი მუდამ ერთი და იგივეა. სანიმუშოთ საკმარისია რამოდენიმე მაგალითი:

გუშინ წინ გაავრცელეს ხმები, რომ ღამით წავიდა დამფუძნებელი კრება და გაავრცელეს ისეთი დაბეჯითებით, რომ ზოგი ჭეშმარიტი პატრიოტიც კი შეცდომაში შეიყვანეს და დააჯერეს.

გუშინ დილით კიდევ მთელ თფილისში მოფინეს ჭორი, რომ ღამით მთავრობა მთელი შემადგენლობით ქალაქიდან გავიდაო. აქაც ისეთი მუყაითობა გამოიჩინეს, რომ ბევრს ალარც კი ეგონა, თუ თფილისში კიდევ იყო არამც თუ მთელი მთავრობა, მისი რომელიმე წევრიც კი.

ამიტომ, როცა შუადღისას მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ ეტლით გაიარა რუსთაველის პროსპექტზე ხალხით გაჭედილი ქუჩების „ვაშას" და „გაუმარჯოს" ძახილი გრიგალისებურათ მოედო ახლო-მახლო მიდამოებს. გაავრცელეს ხმები, რომ ჩვენმა ჯარმა თფილისი დასცალა, რომ ერთი შეიარაღებული მხედარიც კი არ მოიპოვება ქალაქის დასაცავადო. ამით სურდათ დაერწმუნებიათ მოქალაქენი, თითქოს მდგომარეობა იმდენათ საშიშია, რომ საჭიროა ქალაქიდან გასვლაო და სხ.

და მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა მთელი ბატალიონის გამოვლამ თფილისის ქუჩებზე სწორედ იმ დროს, როცა ქუჩა ამ ხმებს კომენტარიებს უკეთებდა, კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეორე ბატალიონის, შემდეგ კიდევ სადგურზე მოსულ ეშელონების მოსვლამ. ამ ფაქტებმა მშიშარა „ობივატელიც" კი დაარწმუნა ასეთი ხმების სიყალბეში. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ასეთი ხმების გავრცელება მეტის-მეტად მავნე არ იყოს და დაუსჯელათ შეიძლებოდეს.

გენერალ-გუბერნატორმა უკვე გამოსცა ამის შესახებ შესაფერი განკარგულება.

ეს განკარგულება მთელი თავის სიმკაცრით უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული. პროვოკატორებმა უნდა იგრძნონ და იგემონ შედეგი თავიანთი პროვოკატორული მუშაობისა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საბედისწერო ჟამს ასეთს ხმებს შეუძლია უდიდესი ზიანი მიაყენოს ჩვენი ქვეყნის დაცვა—გამარჯვებას.

ამ გამარჯვებისათვის დემოკრატია თვით უსასტიკესი ზომების წინაშეც კი არ უნდა შესდგეს.

## პროვინცია თავდაცვის საქმეში

**გორი**, 17 თებ. მთავრობის თავმჯდომარეს. დამფუძნებელ კრებას და სახალხო გვარდიის შტაბს.

მთელი ქართლი ფეხზე დადგა სამშობლოს გასაჭირის გაგებაზე მისი საუკეთესო შვილები ყოველ დღე მიდიან ჯარში და გვარდიაში ნაწილების შესავსებათ. მოდის ბევრი მოხალისეებიც, ქართლის სიუცხოვო შვილები, რომელნიც მზად არიან მსხვერპლად შეეწირონ სამშობლოს. ვადგენთ მოხალისეთა რაზმებს გამოცდილი მეომარის არჩილ ფურცელაძის მეთაურობით და ვგზავნით ხვალ. რიცხვს შეგატყობინებთ. ხოობალი ბლომათ მოგვდის. სულიერი სიმტკიცე დიდია. ყველა თვალცრემლიანი აღელვებულია, მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებლები, მოხელეები, მთელი ხალხი ჭადარა თფილისს თავს ევლება. მზად არიან ყველანი მსხვერპლად შეეწირონ სამშობლოს, თფილისს კი არავის დაუთმობენ. დიდი ერთსულოვნებაა თავდაცვის საქმეში. გაერთიანებული მტკიცეთ ვმუშაობთ. ჩვენთანაა ერობა, ქალაქი, ადმინისტრაცია, პარტიები, კოოპერატივები. სასტიკად ვიცავთ შიგნით წესრიგს. ყველა, სახელმწიფო, თუ საზოგადო მოხელე, თავის პოსტებზე შეგნებულათ და დაუღალავად მუშაობს. „ჩვენ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან ერთად მზად ვართ მსხვერპლად შევეწიროთ საქართველოსო",—ისმის ქუჩებში და სკოლებში ძახილი. ჯარასავით დატრიალდა ქართლი. იმედი გვაქვს მტერი დავამარცხოთ. მათ შეუძლიათ ჩვენს გვამებზე გადაიარონ, მაგრამ დამარცხებულს ჩვენს სამშობლოს და მის შვილებს ვერასოდეს იხილავენ.

**გაბუნია.**

---

**ქუთაისი.** ქუთაისის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ, გაითვალისწინა რა მომენტი, ერთსულოვნად დაადგინა მოახდინოს მთელი თავისი ძალების ყოველმხრივი მობილიზაცია მუხანათ მტრის შესამუსრავათ. მოხსენდეს მთავრობას, რომ ყველანი მზად არიან თავი დასდონ სამშობლოსათვის. უხვად გროვდება ფული და სანოვაგე. ეწერებიან მოხალისეებათ.

თავმჯდომარე **ანტონ მეფარიშვილი.**

---

**ქარელი.** ქარელის საზოგადოებამ იქონია მ ჯილობა დღევანდელ სერიოზულ მომენტზე და ერთხმად აირჩია თავდაცვის კომიტეტი. მასთან დაადგინა მთელი თავისი ძალ-ღონით მხარი დაუჭიროს როგორც მთავრობას, ისე ჩვენს სახელოვან ჯარსა და გვარდიას, რომელნიც დააგვირგვინებენ ჩვენი ერის გამარჯვებას.

თემის თავმჯდომარე **ალექსიძე.**

---

**თელავი.** შესდგა მაზრის თავდაცვის კომიტეტი: თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, ერობის გამგეობის წევრი ტ. ლეკიშვილი, გვარდიის შტაბის წევრი ა. ლანდია ქალაქის მოურავი, ქალაქის ხმოსნები: ლ. გოგიაშვილი, დ. ქადაგიძე, გ. ციცქიშვილი. გთხოვთ აღჭურვოთ განსაკუთრებული უფლებებით. თავმჯდომარე **რამიშვილი.**

---

**საგარეჯო.** მთელ გარე კახეთში ქუდზედ კაცი გამოდის. მოგვყავს მოხალისეთა რაზმი. ხალხში დიდი აღფრთოვანებაა გამარჯვება ჩვენი იქნება!

გერონტი კილასონია, ლადო კაკაბაძე, ვანო მაისურაძე, აზარიაშვილი.

---

**გორი**, 17 თებ. თავდაცვის საბჭოს. მთავრობის თავმჯდომარეს.

თქვენი მოწოდების ხმა ელვის უსწრაფესად მოედო მთელს ქართლს. ყველა არსებული ორგანიზაციები გაერთიანდა და როგორც ერთი კაცი. ფეხზე სდგას მთელი ხალხი. ფოლადის სიმტკიცით ავასრულებთ ყველა თქვენს განკარგულებებს. ერთი წუთითაც ნუ გაიფიქრებს მოსისხლე მტერი, რომ დავნებდეთ როდისმე!

წინ, ბრძოლის ველისაკენ რევოლიუციონურ და სოციალისტურ საქართველოს დასახსნელათ.

გროვდება სურსათი. სდგება რაზმები. ფიცს ვსდებთ სამსხვერპლოზე მივიტანოთ ყველაფერი რაც კი გვაბადია.

გაერთიანებული სხდომის ერობის, ქალაქის, გვარდიის და ყველა პოლიტიკურ პარტიათა მონდობილობით **ათანასე ქვათაძე.**

## ახალი ჯარები მოდიან...

თებერვლის 17 ს მთელი დღე-ღამის განმავლობაში თფილისში ახალი ჯარების გადმოსხმა თუ რკინის გზით ეშელონების გატარება არ შეწყვეტილა.

17 თებერვალს და გუშინ, 18 თებერვალს, დიდძალი ჯარი გაიგზავნა ქვეითად თფილისიდან ფრონტისაკენ.

შუადღის 12 ს. რუსთაველის პროსპექტით ჩამოიარა წინა დღით № დან ჩამოსულმა რეგულიარული ჯარის ერთმა ნაწილმა.

ზღვა ხალხი აღფრთოვანებულ „ვაშასა" და „გაუმარჯოს სამშობლოს" ყიჟინით შეეგება მათ.

დამფუძნებელი კრების წინ ჯარს გენ. წულუკიძემ მიმართა შემდეგი სიტყვებით:

„ახალგაზრდებო! განსაცდელში ჩავარდნილი ჩვენი სამშობლო დღეს ისე, როგორც ამ ერთი წლის წინად, მოგიწოდებთ თქვენ მოვალეობის მოსახდელად. როგორც ამას წინად გეუბნებოდით, ისე ახლაც გეტყვი, რომ გამარჯვება ჩვენია. ქართველი ხალხი, ეს ისეთი პილპილია, რომ ვინც მის გადაყლაპვას მოინდომებს, მას ცხვირს დააცემინებს. გაუმარჯოს ჩვენს ერს, ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას"!

ჯარის მძლავრი ყიჟინა—„ჩვენ მზად ვართ სამშობლოსათვის დავიხოცოთო", გაისმა ჰაერში და მათ გამოძახილს ეერთდებოდა ხალხის ხმა—„ვაშა" და „გაუმარჯოს"

შემდეგ მიესალმა ჯარს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ამხ. **კარლო ჩხეიძე.** „ჯარის-კაცებო და სამშობლოს ერთგულო დარაჯებო,—მიმართა მან ჯარს. ჩვენ ბრძოლა გამოგვიცხადეს, ვერაგულად თავს დაგვესხნენ, ლამობენ ჩვენს ერთიანად გასრესას.

რათა, რისთვის? აბა, სთქვას ვინმემ—ვის რა დავუშავეთ.

მე უფრო მეტსაც ვიტყვი. მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველ ხალხს ერთხელაც არ განუზრახავს სხვისი დამონავება, ის ერთხელაც არ გადასცდენია თავის საზღვრებს, სამაგიეროთ, თუ მტერი მას შიგნით დაეცემოდა, ის ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდა მას. ჩვენ ყოველთვის ველტოდით ერთა სოლიდარობას. ჩვენი ერის მთელი ენერგია ყოველთვის აქეთკენ იყო მიმართული. ჩვენ ვადექით ამ გზას მაშინაც კი, როცა ომს გვიცხადებდენ და ვსცდილობდით მშვიდობიანად გადაგვეჭრა მეზობლებთან საკითხი. ჩვენ მეტსაც ვშვრებოდით: გამოვდიოდით მოსაშველად ორ ერთა შორის, როცა ისინი ერთმანეთს ქლეტდენ. გაიხსენეთ 1905 წლის ამბავი,—თფილისში სომეხ-თათართა შეტაკება. განა ჩვენ ცოტა მსხვერპლი გავიღეთ ამისათვის? და რით გადაგვიხადეს! ლამობენ ჩვენს აღგვას დედამიწის პირიდან, მაგრამ ამასაც არ სჯერდებიან, გვაბეზღებენ ევროპასთან, მთელ ქვეყნიერებასთან, რომ დაგვამცირონ, სახელი გაგვიტეხონ და ულირსად ჩაგვკლან, აღგვგავონ, მაგრამ ისინი ამას ვერ მიესწრებიან. ქართველმა ერმა იცის თავისი ღირსება და აფასებს თავის პატიოსნებას. ჩვენი სიკვდილის მოტრფიალენი თვით იპოვნიან შავს სამარეს და შეგნებული ერი ჭეშმარიტად მიუზღავს მათ სამაგიეროს.

ჯარისკაცებო! თქვენ ყველასა გყავთ ცოლი და შვილები, გაქვთ ოჯახი, მაგრამ რათ გინდათ შერცხვენილი ოჯახი, გაუპატიურებული ცოლი და ხამუშ-აყრილი დები და ნათესავები. ყველაფერი ეს ჩვენ მოგველის, თუ ვერაგ მტერს თავის ადგილს არ მივუჩენვთ.

ჩვენ ყველანი თქვენთან ვართ. თქვენ მოგიწოდებთ თქვენი სამშობლო და ქართველი ერი დაიცვათ ის ამ გაუპატიურებისაგან, ამ შერცხვენა და ნამუსის აბდისაგან!

გაუმარჯოს ჩვენს ერს, გაგიმარჯოთ თქვენც, გმირებო და სამშობლოს დამცველნო!

მწამს, რომ თუ საჭირო იქნება, თქვენ ყველანი დაიხოცებით და მტერს კი გამარჯვებას არ მიანიჭებთ".

ჯარმა ერთხმად შესძახა: „დავიხოცებით და მტერს კი არ გავახარებთო",—და დაიძრა პირდაპირ ფრონტისაკენ...

## მოხალისეთა ჩაწერა გრძელდება

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიასთან არსებულ სამობილიზაციო ბიუროში (დამფუძნებელი კრების სასახლე, ოთახი № 29) მოხალისეთა მიღება გუშინ როგორც დღისით, ისე ღამით სწარმოებდა. დღეს, 18 თებერვალს, დილიდანვე კვლავ დიდძალი ხალხი შეგროვდა. ჩაწერა გრძელდება.

---

მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ შემდეგი წერილი მიიღო:

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ნოე!

მუხანათების ურდოები სამშობლოს მოადგენ და ლამობენ მის გაქურდვას, გაძარცვას, მაგრამ მჯერა ეროვნული იდეა ბრწყინვალედ გაიმარჯვებს ქურდ-ზაცაც მცარცველების ულირს სურვილზე.

საქართველო გასალკდევებული გაიმარჯვებს.

მიუხედივათ ჩემი წლოვანებისა და აგრეთვე ეხლახან გადატანილ მძიმე ავადმყოფობისა, მე უაღრესად ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ კი შემაძლებიებდით შევასრულო ჩემი მოქალაქობრივი მოვალეობა საყვარელ სამშობლოს წინაშე.

გთხოვ, ბ-ნო თავმჯდომარევ, მიმიღოთ თქვენს განკარგულებაში.

დავრჩები თქვენი მუდამ პატივისმცემელი **დავით ზიბუთაშვილი.**

17 თებერ. 1921 წ.

დედა ქალაქი.

## ფრონტის დღე

**ქალაქის გამგეობისაგან.**

17 თებერვალს ქალაქის საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდო ფრონტის დღის მოწყობა. განზრახულია ფრონტის დღის მოწყობა შაბათს და კვირას. შაბათს ქალაქის გამგეობა ლაჰქებით და ფურგონებით ქალაქში მოაგროვებს ყოველგვარ შემოწირულებას ფრონტის საჭიროებისათვის. ქალაქის ხმოსნები განსაკუთრებული წიგნაკებით შეაგროვებენ ფრონტის სასარგებლოდ ფულს და ნივთებს. კვირას ყულაბებით რამოდენიმე ასეული ფულის შემგროვებლები შეჰკრებენ ფულს. 18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობამ მიიწვია ყველა ხმოსნები, რომელთაც მიეცათ სპეციალური ინსტრუქცია და გაუნაწილდათ რაიონები. ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაეხმარონ ამ საქმეში და გაუგზავნონ თავიანთი თანამშრომლები.

---

ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული ფრონტის დამხმარე საგანგებო კომისია იწვევს თფილისის ყველა სასწავლებელთა მასწავლებლებს შაბათს, 19 თებერვალს, დილის 9 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში.

შაბათს საგანგებო კვიტანციებით ჩამოივლიან დუქან-მაღაზიებს დახმარების შესაგროვებლად.

კვირას, 20 თებერვალს, ქალაქის ქუჩებში მოეწყობა ყულებ[illegible]ით ფულის შეგროვება. მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევენ საბჭოს ხმოსნები.

## მთლიანი ფრონტი

მთელი რესპუბლიკა ფეხზე დგას. პროვინციებში გაცხარებული მზადებაა. ყოველ წუთს მოდის ცნობები, რომ სდგება მებრძოლთა რაზმები, გროვდება სურსათი, ტანსაცმელები და სხვა საჭირო მასალა. ყოველივე და ყველაფერი ამუშავებულია ფრონტისთვის და მისი გამარჯვებისთვის. ის ერთსულოვნება, რომლითაც ასე მტკიცეთ გაიმსჭვალა მთელი რესპუბლიკა, უტყუარი თავდებია ჩვენი გამარჯვებისა. მტერმა თითქოს იგრძნო ძალა ჩვენი ხალხის ამ მტკიცე ნებისა და ის ვეღარ ბედავს თავხედურ წინსვლას. ქვეყნის დაცვით

გატაცებული ჩვენი შეიარაღებული ძალა ფოლადის კედლათ აღიმართა მისი მსვლელობის გზაზე და ის არამც თუ შეაჩერა, აქა-იქ იერიშიც მიიტანა. მთელი კვირის გამუდმებულ ბრძოლაში მყოფი ნაწილები ახალმა ძალებმა შესცვალა. ეს ძალები შეუწყვეტელათ მოდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. პროვინციის უდიდესი ღვაწლი სწორეთ იმაშია, რომ ის სასწრაფოთ და შეუჩერებლივ გზავნის მეომართა ეშელონებს ბრძოლის ველზე. პროვინციამ მყისვე შეიგნო, რომ „სხვა საქმე, სხვა დანიშნულება დღეს ქართველ ერს არა აქვს“.

მთელი რესპუბლიკა დღეს ბრძოლის ველზეა: ზოგი წინ, ზოგი უკან, მარაგში, ეს მთლიანობა თავმდებია ჩვენი გამარჯვებისა და ყველა ნამდვილი მამულიშვილის ღვთაებრივი მოვალეობაა ეს მთლიანობა დაიცვას და განამტკიცოს.

ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის!

# კარლო ჩხეიძის ჩამოსვლა

თებერვლის 17 საღამოთი თფილისში დაბრუნდა დასავლეთ საქართველოში მოგზაურობიდან დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე.

მან მოიარა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონები. იყო ქუთაისში, ტყვიბულში, ჯიხაიშში, სამტრედიაში, ახალსენაკში, ძველსენაკში, ბანძაში, აბაშაში, მარტვილში, ონტოფოში, სალხინოში, ფოთში და გააკეთა მოხსენებები საზღვარგარეთის ჩვენი დელეგაციის მუშაობის, საქართველოს იურიდიულად ცნობის და ევროპის მუშათა მოძრაობის შესახებ. მოხსენებებს ყველგან მრავლათ ესწრებოდა ხალხი და გულდასმით ისმენდა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში კარლო ჩხეიძემ განაცხადა: იმ დროს პროვინციაში ცნობა არ იყო მოსული ფრონტზე შექმნილი სერიოზული მდგომარეობის შესახებ, მიუხედავათ ამისა, ის მაინც მიუთითებდა მოსალოდნელ საფრთხეზე და შთაბეჭდილება ისეთი მიიღო, რომ ხალხი მთელ თავის ძალ-ღონეს სამშობლოს დაცვას მოახმარს, მთელ თავის ქონებას არ დაიშურებს...

ხალხს საერთოდ ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ მტერს მისთვის მოაქვს დარბევა-დაწიოკება, მონობა, ამიტომ საკმაოა მხოლოდ ერთი მოწოდება, რომ მთელი ერი ფეხზე დადგეს როგორც ერთი კაცი და გამოვიდეს საბრძოლველად...

# რკინის გზის ყველა მუშა-მოსამსახურეთ

(მოწოდება)

ამხანაგებო რკინისგზელებო!

მტრის მუხანათურმა თავდასხმამ კვლავ ჩაითრია ჩვენი ქვეყანა, არასასურველ ბრძოლაში.

რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების ინტერესით, ქვეყნის გაოხრებისაგან დასახსნელათ და გამარჯვების მოსაპოვებლათ გაერთიანდა ყველა პოლიტიკური პარტიები, მთელი ხალხი წარმოადგენს ერთ მთლიანს, განუყოფელ რგოლს.

ყველას ზრუნვის საგანს წარმოადგენს: მოვემზადოთ გამარჯვებისათვის და გავიმარჯვოთ.

მაგრამ ყველაზე მეტი საპასუხისმგებლო და სასახელო როლი ამ საქმეში გვეკისრება ჩვენ,—რკინისგზელებს.

რკინის გზა—ფრონტის საძირკველია.

ზურგის სიმტკიცე, რკინის გზის ნორმალური მუშაობა,—პირველი თავმდებია ომის გამარჯვების დასმთავრებლათ.

ჩვენი თავგანწირვა აქ შიგნით,—არის გამარჯვება იქ,—ფრონტზე.

გვარდიის და ჯარის გამარჯვება,—რკინისგზელთა გამარჯვებაა.

ისე, როგორც არასოდეს, უნდა შევაკავშიროთ ეხლა მთელი ჩვენი ძალები გამარჯვების მოსამზადებლათ და მტრისთვის შესაფერის პასუხის მისაცემათ.

ფრონტიდან არ უნდა გვესმოდეს უკმაყოფილება რკინის გზისადმი.

თვითოეულ რკინისგზელში გვარდიელი და ჯარისკაცი უნდა ჰხედავდეს მის ერთგულეს ამხანაგს ოცეულიდან.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად თითო მებრძოლის თავის დროზე ფრონტზე მიშველებას შეუძლია გადასწყვიტოს ბრძოლის ბედი.

რაც უფრო ადრე და სისწრაფით იმოძრავებს სამხედრო ეშელონები, მით ადრე დადგება გამარჯვების ჟამი.

ყველა რკინისგზელი, განურჩევლად მდგომარეობის და თანამდებობისა, უნდა განიმსჭვალოს მდგომარეობის შეგნებით და ღირსეულად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენგან უნდა განიდევნოს ყველა ზარმაცი და ბოროტმომქმედნი.

ამხანაგო რკინისგზელებო! ბევრი სასახელო ფურცლები ჩაგვიწერია ჩვენ რევოლიუციის ისტორიაში და ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეში.

ჩავწეროთ კიდევ ერთი, შეიძლება უკანასკნელი, სასახელო და გმირული ფურცელი ჩვენი მუშათა კლასის ისტორიაში.

მივეშველოთ ფრონტს!

გავუადვილოთ მას გამარჯვება!

დავსძლიოთ ახალი განსაცდელი და მივანიჭოთ ჩვენს ქალაქებს და სოფლებს ზავი და მშვიდობიანობა.

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებას.

ხაზინის რკ. გზ. კავშ. ცენტრ. გამგეობა.

# საქართ. ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციებს

ამხანაგებო! რესპუბლიკის დღევანდელ მდგომარეობაში მხოლოდ ერთ ფრონტზე უნდა იხარჯებოდეს ყოველი ქართველის ენერგია:

ესაა ფრონტი რევოლიუციონურ სამშობლოს დაცვისა! ამ ფრონტზე გამარჯვება შექმნის ყველა სხვა ფრონტზე გამარჯვებისათვის მტკიცე პირობებს. ეს უკვე შეიგნო თავისუფალმა ერმა და მალე დაანახვებს მთელს მსოფლიოს, თუ როგორის თავგანწირულობით უნდა ბრძოლა თავისუფალი, რევოლიუციონური სამშობლოსათვის.

თავდაცვის იარაღებიდან ახლა ყველაზე წინა სდგას ბასრი ხმალი და თავდაცვის ფორმიდან,—ბრძოლა შეუპოვარი, ბრძოლა, მებრძოლთა მტკიცე იმედით განმსჭვალვალული.

დღეს, ამხანაგებო, ყველა უნდა ივიწყებდეს თავის ჩვეულებრივ საზრუნავსა და საქმიანობას. ჩვენც დავივიწყოთ ყოველივე ჩვეულებრივი, გადავსდოთ ჩვენი ჩვეულებრივი საქმიანობა უკეთესი და ახლო მერმისისათვის.

გამარჯვების მოსაპოვებლად გავილოთ მაქსიმუმი თავგანწირულობის, მხნეობისა და ყველანი, როგორც ერთი კაცი, მედგრად ჩავდგეთ სამშობლოსათვის მებრძოლთა რიგებში. დაუღალავად ვიმუშავოთ ვისაც სად მეტის გაკეთება შეგვიძლია: მოწინავე პოზიციებზე, ზურგში სასურსათო ფრონტზე და სხვ.

მხნეთ ვიყვნეთ და სხვანიც გავამხნეოთ!

ცენტრალური კომიტეტი მთელი შემადგენლობით გადავიდა ფრონტის განკარგულებაში; შევაჩერეთ ჟურნალის გამოცემაც და განვაახლებთ მას გამარჯვების შემდეგ, სამშობლოსათვის მებრძოლთა გმირობას, თავდადებისა და თავგანწირვის მოსათხრობლად.

საქართ. ახალ. მარქ. ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტი.

# მოძრავი სანიტარული გუნდი

მოწოდება

თფილისის ექიმის თანაშემწეთა და ბებია-ქალთა კავშირი ადგენს მოძრავ სანიტარულ გუნდს, რომელიც გადაეცემა წითელი ჯვრის სრულ განკარგულებაში. კავშირი იწვევს ყველა თავის წევრებს და არა წევრთ, რომელნიც თავისუფალნი არიან მობილიზაციისაგან ჩაეწერონ გუნდში კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან—სახაზინო რკინის გზის საავადმყოფოში და პრეზიდიუმის მდივანთან კახეთის რკინის გზის სამმართველოში ამხანაგ ხარიტონაშვილთან.

კავშირის პრეზიდიუმი.

# ფრაქციების წარმომადგენელნი ფრონტზე

დღეს, 18 თებერ., დილით ფრონტზე გაემგზავრენ დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციათა წარმომადგენლები.

# გამარჯვება ან სიკვდილი

დღეს საქართველო დაანთებს კოცონს,
გამოიღვიძებს ნამუსი ტკბილი,
და ურწმუნოთაც მართებს ილოცონ
ან გამარჯვება ანუ სიკვდილი!..

სისხლის გრიგალი სუნთქავს შენს ქუჩებს,
დედა თფილისო! ღრიალებს მტკვარი.
რკინა მეჭარით შორს იწვავს ტუჩებს,
ბობოქრობს მტერი კარზე მომდგარი.

თავისუფლება სიყვარულს ეძებს,
ჯერ არ უცვნია მკლავ მშვენიერი,
და არ უნახავს რას უანდერძებს
მას არჩეული ქართველი ერი:

რამდენი გმირი დახუჭავს თვალებს,
თუმცა მას ძილი არ ემარჯვება,
სამშობლოს იხსნის, თავს ანაცვალებს,
და არ მოკვდება მასთან დარჩება!

საუკუნეთა ძილში დანთქმული,
აღმოხეთქს მიწას წარსული სევდა,
თუ ივერია სახელგანთქმული
იყო, არის და მუდამ სუფევდა...

სიყვარულისას დაანთებს კოცონს,
აღსდგება ქვეყნის ნამუსი ტკბილი,
და ურწმუნოთაც უნდა ილოცონ,
ან გამარჯვება ანუ სიკვდილი!..

ვ. ტუქსიშვილი.

16 თებ. 1921 წ.

# ახალ ეპოქის გარიჟრაჟის წინ.

მესიზმრა ახმახი, საზიზღარი ვინმე... ისე შესძულებოდა მშვენებით სავსე ქვეყნიერება, რომ გადაეწყვიტნა მისი წყვდიადში გახვევა, დასამარება... კაცთა ძვლებისაგან კიბე გაეკეთებინა, მიებჯინა ცისთვის და მზეს ფიცრებს აკრავდა, მთვარეს კუპრს უსომდა, ვარსკვლავებს ნახშირის ცომით აბნელებდა...

ძნელია გარჩევა: სად იწყება სიზმარი და სად თავდება სინამდვილე...

განა ამაზე ნაკლებ საზიზღარია ის მტერი, რომელიც გაცოფიანებული დაგვესხა?.. განა მასაც არა ჰსურს ჩაგვიქროს თავისუფლების მზე და საფლავის თაღ ქვეშ მოაქციოს საქართველო?..

ჰაი ჰაი, რომ ჰსურს ჩვენი გაქრობა, მაგრამ სცდება სასტიკად...

ისეთს დღეს დავაყრით, ისე შევარცხვენთ, რომ საუკუნეთა წყევლით დევნილ იუდის აჩრდილმაც ზიზღით შეჰხედოს და შეაჩვენოს...

* * *

ცოცხალი ფრინველი რომ აიღოს კაცმა და მოაწყვდის ორ გავარვარებულ კეცს შუა—სწორედ გატანჯულ მუშათა კლასის მდგომარეობას წარმოადგენს... ორი კეცი ეს ბოლშევიზმი და იმპერიალიზმია, რომელიც სწვავს და ჰბუგავს კაცობრიობას.

ვინ დაამსხვრევს ამ კეცებს, ვინ გაანთავისუფლებს, ვინ გაანელებს დამწვარ-დადაგულ გულს?

— საქართველო, პატარა საქართველო.

მასაც მოუნდომეს გვემა წამების საკირეში ყირამალა ჩაყუდება, მაგრამ გაიელვეს ხმლებმა... გაიხმაურეს ომახიანმა სიმღერებმა... დავიწყებულმა.

მთვარის სხივებით გადმოიშალენ საუკუნეთა ძილით მიძინებულ წინაპართა აჩრდილები ერთხმად ჰღაღადებენ:

დიდება და გამარჯვება საქართველოს.

საქართველოს მთები, მნათობები, მდინარეები, დილა და საღამოები—ყველანი ჰლოცულობენ:

შემოქმედო, გამარჯვების ღმერთო! გააარწივე და უძლეველ ჰყავ საქართველოს ლაშქარი.

* * *

ნოევ, დიდო ნოევ ნაოჭი ნუ გადეკვრება შენს მადლიანს შუბლს. ჩვენ მივეჩვიენით შენი სახის სიცილს, თვალთა სიმალხაზეს, ნურც ახლა გვეჩვენები შეფიქრიანებული...

„ულს ნუ გაგიტეხს, გენაცვა,
მხედართა მცირე ზიანი,
უმალვე შენთან გაჩნდება
ჯარი უთვალავ ხმლიანი“.

* * *

სოფლად ვიყავი, როცა მტერი თავს გვესხმოდა... გააფთრა ამ ამბავმა ხალხი...

— ვინ გაკადნიერდა, ვინ გაჰბედა ჩვენი დამონებაო ..

ბევრჯელ ჩამიხედნია რწმენით ანთებულ ხალხის თვალებში და ესოდენი ზავთით აგუზგუზებული არ მინახნია...

მოდი და ნუ გაიმარჯვებ...

ვაი მას, ვინც გაექცევა სამშობლოსადმი წმინდა მოვალეობის მოხდას.

ხომ მოგისმენიათ მწუხრისას ჭაობის პირად ბაყაყთა მტანჯავი ყიყინი?

იგინი ოდესღაც ადამიანები ყოფილან, მაგრამ რაღაცა შეუცოდავთ, დაუსჯიათ და ბაყაყად გადაუქცევიათ... გაბმული მოთქმით ემუდარებიან, პატიებას სთხოვენ ვიღაცას, მაგრამ ხმა ვერ მიუწვდენიათ...

ასე დაისჯება ყველა ის, ვისაც გულში ოდნავ მაინც გაუვლის შიშნეულობა...

* * *

ქართველობა პოეზიის ხალხია... იგი ოცნებობდა მსგავსად რომელღაც მგოსნისა, ნაცვლად სამხედრო იარაღებისა—შესდგომოდა სამუსიკო საკრავების მზადებას... პოეზიით, მუსიკით ჰსურდა ლელოს გატანა, გამარჯვება... იგი მეგობარია ვარსკვლავების, ყვავილების, მაგრამ მათ ტრფიალის ნაცვლად ტყვიის მფრქვეველები მოუმარჯვნია...

არ აცალეს შემოქმედებითი მუშაობა...

უკვე ცეცხლის ალში გამოიწვიეს...

არა უშავს რა... დაამტკიცებს, რომ ზარბაზანთა გრიალშიაც შეუძლიან დიადი საქმის კეთება... კულტურის განმანადგურებელთა წინააღმდეგ ბრძოლა.

* * *

ტყუილია, ვითომც ომი სწარმოებდეს მარტოოდენ მცირე ერთა შორის... აქ დიდი ომია დიდ იდეათა შორის... აქ უპირდაპირდება ბოლშევიზმი დემოკრატიზმს... საქართველოს ბიბლიური დავითი—ეგება საბჭოთა გოლიათს...

მთელს კულტურულ ქვეყნიერებას წარღვნა მოელის, თუ ბოლშევიზმს არ აეგო წესი...

სჩანს, ისტორიამ მათი მესაფლავეობა ჩვენ გვაკისრა...

მძიმეა იგი, მაგრამ უნდა მივიღოთ...

პირნათლადაც შევასრულებთ მოვალეობას...

გამარჯვებათა მთებია საქართველო.

კიდევ ახალი ბრწყინვალე და ნამდვილი ლეგენდა შეემატება მისს მატიანეს...

საფრანგეთისავით დიადი ამბავი გვეწყობა...

როდესაც დიდი რევოლიუციის ლაშქარმა ვალმთან ზარბაზანთა გრიალით უკუაგდო პრუსიის და ავსტრიის ურიცხვი ნხედრობა—გიოტეს უთქვამს: დღეს აქ დაიწყო ახალი ეპოქა მსოფლიო ისტორიისაო...

სწორედ ასეთი ეპოქა დაიწყობა საქართველოს საზღვრებზე, ვინაიდან იქ ჩვენი ლაშქრის თავგანწირულებაზე გადაიმსხვრევა ბოლშევიკთა შხამიანი ლახვარი...

ახალი ეპოქის გარიჟრაჟი გვიახლოვდება და მისთვის ჩამობნელდა...

განთიადის წინ მუდამ მატულობს სიბნელე...

რა ამაოდ გაჰკივიან თვალბედითი მიკიოტები...

რა შეაჩერებს გარიჟრაჟის ოქროფრთოვან მსვლელობას...

დ. თურდოსპირელი.

თებერვლის 16.
1921 წ.

# მოქალაქენო

(თფილისის ქალაქის გამგეობის მოწოდებიდან)

ამ დიდი განსაცდელის დროს თქვენ გმართებთ განსაკუთრებული სიმშვიდე და წესიერება დაიცვათ.

თვითეული თქვენგანი მოვალეა იარაღი აიღოს ხელში, ჩაეწეროს მოხალისეთა რაზმებში და ეკვეთოს მუხანათ მტერს.

ვისაც ეს არ შეუძლია, იგი მედგრად უნდა იდგეს თავის პოსტზე და გააძლიეროს მუშაობა

ყველამ სისწრაფით და ერთსულოვნად უნდა აღასრულოთ ყოველგვარი განკარგულება მთავრობისა და მისი ორგანოების.

თქვენი წესიერი, ბეჯითი და მხნე მუშაობა გაამაგრებს ზურგს, რაც პირველი საქმეა ჩვენი შეიარაღებული ძალის გამარჯვებისათვის. ფრონტს ესაჭიროება უდიდესი ზრუნვა და სიყვარული.

არავითარ უთანხმოებას, გაუგებრობას თქვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს; დაივიწყეთ და უკუაგდეთ ყოველივე ეს. თქვენი სიტყვა დღეს ერთი უნდა იყოს: ყველაფერი ფრონტს.

ნუ დააყოვნებთ! ჩაეწერეთ რაზმებში, მიეცით ყველაფერი ფრონტს, არ შეაჩეროთ არც ერთი წუთით მწყობრი და ენერგიული მუშაობა!

ყოველი წამი ძვირფასია...

# საქართველოს მასწავლებლობა

(მოწოდებიდან)

ამხ. მასწავლებლებო! აუხსენით ხალხს, რომ მტერი ვერას დაგვაკლებს, თუ შიგნით წესრიგს დავიცავთ. დამშეული მტერი ჩვენში მოდის გასაძღომად. მას უნდა ჩვენი ქვეყანა დაიპყროს და გაზიდოს აქედან თუ კი რამ ჩვენ გლეხობას გააჩნია. ამას მოჰყვება სოფლების და ქალაქების აოხრება, ოჯახის და ცოლ-შვილის აწიოკება...

ვისაც შეგვიძლია იარაღს ავისხამთ, სხვები სხვა გვარად დავეხმაროთ სახელოვან ჯარსა და გვარდიას!..

საქ. მასწ. კავ. ცენ. ბიურო.

# მუშათა წარმოდგენების შეწყვეტა

ვინაიდან ყველა პროფესიონალურ კავშირთა წევრები მფრინავ რაზმში ჩაეწერენ და ამ ჟამად უკვე თოფ ქვეშ იმყოფებიან, ამიტომ მუშათა წარმოდგენები ამ შაბათს და კვირას აღარ გაიმართება.

# სამობილიზაციო

თფილისის ქალაქ. ს. გამგეობის განცხადებანი

I

თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია ქალაქ თფილისში დროებით თუ მუდმივათ მცხოვრებ ყველა ქართველ სათადარიგო ოფიცერთა მობილიზაცია მიუხედავათ მათი ხარისხისა და წოდებისა. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 17 თებერვალი.

ამიტომ ყველა გაწვეული ოფიცრები მოვალენი არიან დაუყონებლივ გამოცხადდენ თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვოგზლის ქ. სახლი თამამშევისა).

II.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გამოცხადებულია მობილიზაცია 1896 და 1897 წლებში დაბადებულ რესპუბლიკის ყველა ქართველ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის-კაცთა. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 17 თებერვალი. ამიტომ აღნიშნულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი, მცხოვრებნი ქ. თფილისში, უნდა გამოცხადდენ 18 თებერვალს, პარასკევს, დილის 9 საათზე, თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვოგზლის ქ. სახლი თამაშევისა) განსაკუთრებულ შენობაში.

17 თებერვალი.

# ქრონიკა

— თანახმად შრომის სამინისტროს მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა გამოსთხოვოს დამფუძნებელ კრებას 2,149,291,383 მან. მუშათა და მოსამსახურეთა მომარაგების ფონდის შესავსებათ. ეს თანხა 1920—21 წლის ხარჯთაღრიცხვაში უნდა იქნეს შეტანილი.

# ოსმალეთში

ხტამბოლი. ოსმალური პრესა დი... ყურადღებას აქცევს ანატოლიაში მუ... ტაფა ქემალის წინააღმდეგ მომხდ... აჯანყებას. პრესის ცნობით ედხემ ბე... რომელიც ქემალის ... რაკება დაუწყია საბერძნეთის სარდლ... ბასთან ქემალის წინააღმდეგ შეთანხმ... ბული მოქმედების დაწყების შესახ... ამ ჟამად მოლაპარაკება დასრულებ... ლია და ედხემ-ბეი ბერძნებთან ერთა... ქემალის წინააღმდეგ მოქმედებ... ღალატი გამოიწვია ანგორის მთავრ... რობის გადაწყვეტილებამ პარტიზან... ლი რაზმების გაუქმების შესახებ. ... რაზმები უნდა შეერთებოდა რეგ... ლიარულ ჯარს. ამასთანავე ანგ... რის მთავრობას სურდა უზრუ... ველეყო ანატოლიის მშვიდობი... მცხოვრებთა ინტერესები, რადგან... ანატოლიის მცხოვრებთ მოსვენება ა... ჰქონდათ ედხემ ბეის ბრბოების ძალ... დობისა და ყაჩაღობის გამო. ანატო... ლიის მშვიდობიან მოსახლეობის ა... უკმაყოფილებას შესაძლებელი იყო, ... კარა აჯანყება გამოეწვია ანგორის წ... ნააღმდეგ ეს იყო მიზეზი ანგორი... მთავრობის გადაწყვეტილებისა ედხე... ბეისა და დემირაჯი-ეფეს მოშორებ... შესახებ დემირაჯი დამარცხებული ი... ნა ქემალის რაზმთა პირველ შეტაკ... ბისთანავე. იგი დაიჭირეს და ტყვე... წაიყვანეს. როდესაც ედხემს მოსთხოვ... დანებებოდა მთავრობას, ის ბერძნებ... მხარეზე გადავიდა. (სდს).

# ინგლისი და რუსეთი

ლონდონი. ინგლისის ვაჭრობის სა... მინისტრომ გამოაქვეყნა რუსეთისა ... ინგლისის შორის დასადებ სავაჭრ... ხელშეკრულობის ტექსტი, რომელი... კრასინს გადაეცა. თანახმად ხელშეკრუ... ლობისა ორივე მხარე ვალდებულებ... შე წყვეტონ პროპაგანდა და ერთმანეთ... აძლევენ თავიანთი აგენტების ხელშეუ... ხებლობის გარანტიას. ინგლისი პირდ... ბა რუსეთს, რომ იგი ხელს არ ახლებ... რუსეთის ოქროს და საქონელს, რომე... ლსაც ბოლშევიკები გაგზავნიან ლონ... დონში. საკითხი ვალების შესახებ გ... დაჭრილი იქნება სადანგებო პოლიტ... კურ-ეკონომიურ ხელშეკრულობაში, რო... მელიც სავაჭრო ხელშეკრულების პი... რობებზე ხელის მოწერის შემდეგ დაი... დება. (სდს)

# საბჭოთა რუსეთში

„ტაიმსი“ იუწყება: მოსკოვიდან მი... ღებული ცნობების მიხედვით მდ. ვო... ლგის რაიონში ვაჭრობა ფაქტიურა... ახალშენთა კავშირის ხელში ყოფილ... კავშირი შედგება ორი გერმანელ... ახალშენისა და რუსეთში დარჩენილ... გერმანელ სამხედრო ტყვეებისაგან. ... ძლიერ ორგანიზაციას ხელთ უპყრი... სიმბირსკისა და სარატოვის გუბერნი... ბის მთელი ვაჭრობა. (სდ.).

# პოლონეთში

ვარშავა. თანახმად რეიტერის საა... გენტოს ცნობებისა პოლონეთის ბირჟა... უკანასკნელ დღეებში დიდი გამოცოცხ... ლება დაეტყო. პოლონეთის მარკის კურ... სი მეტად გაიზარდა. დოლარი 32%-ი... დაეცა, გერმანული მარკა კი 22%-ით... (სდპ).

# ბალკანეთის სახელმწიფოებში

ხტამბოლი. „ჟურნალ დ'ორიანი“ იუწყება: საბერძნეთის ჯარსა და ჩერნოგორიის მოხალისეთა შორის შეტაკებები ხდება. სამხრეთ სლავიის ხალხებ... შორის დამოკიდებულება მეტად მწვავეა. იზრდება უკმაყოფილება სერბიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან კროატები. სლოვენელებმა და ალბანელებმა სერბიას მოთხოვნილება წარუდგინეს მათი დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. (სდს)

პარტიულ და მუშათა პროფესიულ ორგანიზაციებს, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, ამხანაგებს და მოქალაქეთ დაბეჯითებით ვთხოვთ თითონ მოგვაწოდონ პირდაპირ რედაქციაში ხაგაზეთო მასალები—მოკლე ცნობები თავდაცვის შესახებ, ფრონტის ცხოვრებიდან და სხ.

გაზეთში მომუშავეთა მობილიზაციის გამო რედაქციას შეძლება არ აქვს მუდმივი თანამშრომლების საშუალებით თვით შეკრიბოს ყველა ს ჭირო ცნობები.

რედაქტორი [illegible]